# სახალხო გაზეთი

№ 861 სამშაბათი, 2 აპრილი 1913 წ. № 861

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

134/4 № 2444

1421

**სახალხო გაზეთი** — ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება
**სურათებიანი დამატება**
(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი — ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შ ნთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიათ გადიხადონ **ნაწილობით** მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3 ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

ოთხშაბათს, 3 აპრილს, დიდ-მარხვის უკანასკნელი წარმოდგენა, სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილ იქნება პ ე ო რ ე დ

დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან **გ ა მ ც ე მ ი** 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

2) **უბედური დღე**, ვოდ. 1 მოქ. ვას. ბალანჩივაძისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: გოდერძი, მარგ. გოგოლაშვილი, ბ. კორინთელი, ა. კახელი, პიერეტტა, ბ. ტანელი და ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: ნ. კავსაძე, ალ. მეტრეველი, გ. სვანელი, გ. ფრონისპირელი, ალ. შანშიევი, ნ. ჭანკვეტაძე და შ. ხონელი. ✦ ადგილების ფასი 5—50 კ. **დასაწყისი საღ 8 საათზე.**

რეჟისორი ალ. **წუწუნავა**. თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე**. წრის ადმინ.
შემდეგი წარმოდგენა 20 აპრილს. 1094

—✦ **გამოსულია და იყიდება** ✦—

**ნ. შიუკაშვილის** პიესა **„მემონბრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ასენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხლის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. ნ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.<br>ექ. **ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს. |
| ქირურგიული სნეულებანი | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და ბავშ. სნეულ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულაკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. **ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. ნ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი შ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

**ახალი კლუბი**
სამშაბათს, 2 აპრილს,
**საოჯახო საღამო**

ქართულ თეატრში ისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის ინოკენტის კურთხევითა და „ახალი კლუბი“ მამასახლის, საბჭოს მოწოდებით, ქართულ ფილარმონ. საზოგადოების მიერ გამართულ იქნება

**სასულიერო კონცერტი**

ქართულ ენაზე. კონცერტი შესდგება ორის განყოფილებისაგან, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 40 კაცისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი ბ.ზ. ი. ჩხიკვაძის ლოტბარობით შესრულებულ იქნება 20 რჩეული საეკლესიო საგალობელი.
—✦ ნაწილი შემოსავლისა გადაიდება ტფ. საეპარქიო ქალთა სასწავლებლის ნივთიერად ხელმოკლე მოსწავლეთა სასარგებლოდ. ✦—
ადგილების ფასი თეატრში: 1 მ. 50 კ., 3 მ. 50 კ.-დე, ქანდარა 30—10 კ.-დე.
დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყ. საღ. 8½ ს.** 1092

მოკლე ხანში გაიხსნება დიდი რკინის

**ც ი რ კ ი**

**დიდუბის ეკლესიის მახლობლად.**

გახსნის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. აქვე **საჭიროა მსახური** (კაპელდინერი). **ქირავდება ბ უ ფ ე ტ ი** მაგარ სასმელებით ვაჭრობის ნებართვით.

**ადრესი:** დიდუბე, ცირკის შენობა. 1131

ხელის მოწერით გამოიცემა **ე. ზოლას**
**„ქვა-ნახშირის მოხრელები მაღაროებში“**
**ი. გ. ავალიშვილის** ნათარგმნი.

**დაკვეთა შეიძლება:** **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კვიკვში** მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

**„ქვა-ნახშირის მოხრელები მაღაროებში“** „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 107

**ქართული დრამატიული საზოგადოების წლიური საზოგადო კრება**

**დანიშნულია შაბათს, აპრილს, საღამოს 8 ს. ქართულ თეატრში**

კრების განსახ ლველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება დრამ. საზოგ. გამგეობის მოქმედების წლიურის ანგარიშისა.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) განსაკუთრებული სარევიზიო კომისიის მოხსენება ძველი გამგეობის ანგარიშების შესახებ.
4) გამგეობის სხვადასხვა მოხსენებანი.
5) საზოგადოების ახალი წევრების არჩევნები.
6) გამგეობის ახალი წევრების არჩევნები ნაცვლად იმათი, რომელთაც ვადა შეუსრულდათ
7) სარევიზიო კომისიის ახალ წევრთა არჩევნები.

საზოგადო კრება, წესდების მე-14 მუხლის ძალით, კანონიერად ითვლება, თუ კრებას დაესწრო არა ნაკლებ 25 წევრისა. 1094

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა.** იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდ ... № 23 (... ქ. კუთხე).
**ტელეფ. № 7—93.** 97

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და ღიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ სოლოლაკ ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფობთვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.

**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

**ნ მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-914.** 1053

**არსდება**
**ტფილის ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობ. გუნდი**
**მიხ. კავსაძის** ხელმძღვანელობით.
მიღება და ჩაწერა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, საღ. 5—7 საათამდე. 1129

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი შ. ა. მიქელაძე.**
იღებს **შინაგან და ბავშვთა ხნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 რა.—6½ საათ. კარგთის ქ., № 6.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**სატიფო „ცოცხალი“** 1114.

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **სოფილისა** და **კანის** ავადმყ.; **ქსხერმანის** რეაქციით იკვლ. ათამანგ. შოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ.** № 94 კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**სამტრედიაში**
**ექიმი ე. ქ. აბულაძე**
იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **სწამლობს „606“ და „914“.** 1118

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ... არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი** ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

კბილის **ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12 1334

## ქართული პრესა

ჟურნალ „კლდე“-ს ჩვენი პასუხი არ მოეწონა და დაგვწამა... თაღლითობა. რაში გამოიხატა ეს თაღლითობა? იმაში, რომ „კლდე“, თურმე გვეუბნებოდა, რუსეთში ბევრი დემოკრატიული პრინციპია, მაგრამ არ არსებობს უფლებრივი პრინციპის შეგნება, რუსეთში კანონი მუდამ იყო, მაგრამ ამასთანავე არსებობდა მთავრობის „ფართო შეხედულება“, რომელიც ბოლოს უღებდა ყველა კანონს: ჩვენ კი ეს სიტყვები დაგვიმახინჯებია და თაღლითობა ჩაგვიდენია. თუ „კლდე“-სა ჰგონია, რომ აქ თაღლითობაა, მაშინ უნდა აღიაროს ისიც, რომ ჩვენ კი არ ჩავიდინეთ თაღლითობა, არამედ თვით „კლდე“ სწერს „თაღლითურად“. „კლდის“ აზრი შემდეგი იყო. არსებობს დემოკრატიული პრინციპი, მაგრამ არ არარსებობს უფლებრივი შეგნება. ეს აქარწყლებს პრინციპის სარგებლობას. არსებობს კანონი, მაგრამ მთავრობის „ფართო შეხედულება“ აქარწყლებს კანონის სარგებლობას. მაშასადამე ცუდი „ფართო შეხედულება“ შეუძლებლადა ჰხდის, კანონმა სარგებლობა მოიტანოს. ეს რომ ასე მოჰხდეს, უსათუოდ „კანონი“ კარგი უნდა იყოს.

სხვანაირად რომ ავვეხსნა „კლდის“ სიტყვები და სხვანაირი მნიშვნელობა მიგვეცა, „კლდის“ პასუხსაც ყოვლგვარი აზრი დაეკარგებოდა. და თუ ეხლა „კლდე“ უკან იხევს და მხოლოდ სიტყვებს ებღაუჭება, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თავის წერილის გადაკითხვის შემდეგ თითონვე შეეშინდა და არსებითად მსჯელობის ნაცვლად სიტყვებს ებღაუჭება, რომ ამით მაინც გავიდეს ფონს. „თაღლითობა“ აი სწორედ ეს არის.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პეტერბურგის გაზეთ „რეჩ“-ის მე-74-ე ნომერში მოთავსებულია არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო წერილი და განსვენებულის სურათი. მოგვყავს წერილი უცვლელად:

„დღეს მოგვიტანა სამწუხარო ამბავი—ქართველ გამოჩენილ პუბლიცისტის და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებისა. მხლოდ 15 წელიწადი იშრომა თვის სამშობლოს საკეთილდღეოდ და ამ ხნის განმავლობაში ისე ბევრი რამ შეჰმატა ქართველ საზოგადოების განვითარებას, რომ მომავალი თაობა სიყვარულით და მადლიერებით მოიგონებს ამ ნათელ პიროვნებას. ჯორჯაძემ გაიარა ცხოვრების მკაცრი სკოლა და გამარჯვებას მიაღწია თვისი არა ჩვეულებრივი ნიჭის წყალობით. იგი დაიბადა 1872 წელს. ტფილისის პირველ გიმნაზიის დასრულების მერე განსვენებული შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ჯორჯაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა „სევერნი ვესტნიკის“ გარშემო შემოკრებულ წრის მოქმედებაში, 1897 მიატოვა განსვენებულმა უნივერსიტეტი და ინგლისში გაემგზავრა. აქ იგი დაუახლოვდა ტოლსტოის მიმდევრებს და ჩერტკოვის წრეში ტრიალებდა. ჯორჯაძემ ინგლისში დიდხანს არ დაჰყო; აქედან გადმოვიდა საფრანგეთში, სადაც იგი პოლიტიკურმა საკითხებმა გაიტაცა. 1901 წელს ჯორჯაძე ტფილისშია და უეცრივ თვალსაჩინო ალაგს იჭერს ქართულ პრესაში. მისი წერილები იბეჭდებოდა „მოამბეში“ და „ცნობის ფურცელში“ მალე არჩილ ჯორჯაძე იძულებული იყო ტფილისი მიენებებინა; 1903 წ. იგი გაემგზავრა პარიზში, სადაც თვისი ამხანაგების დახმარებით შეუდგა „საქართველოს“ გამოცემას, ფრანგულის განყოფილებით. არჩილ ჯორჯაძე ერთი დამაარსებელთაგანი არის ქართველთა მეორე დემოკრატიულ პარტიისა, რომლის ორგანოც იყო საზღვარ-გარედ „საქართველო“. 1905 წელს არჩილ ჯორჯაძე კვლავ სამშობლოშია და მთელ თავის ძალ-ღონეს ჰწირავს 19 საუკუნის ქართველ საზოგადოების მოძრაობის ისტორიის შესწავლას. იგი ჰხელმძღვანელობს ჯერ დაუმუშავებელი მასალით. ჯორჯაძე თვისი წერილებით არკვევს და ნათელსა ჰფენს ფრიად რთულ კავკასიის ეროვნულ საკითხს. მთელი პირველი ტომი ამ საკითხის გარკვევას ეკუთვნის. მისი ნაწერების ნაწილი კიდევ 3 ტომად არის გამოცემული. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მონოგრაფია. განსვენებულის ნაწერებით ჰსაზრდოებდა მთელი ცნობიერი საქართველო. არჩილ ჯორჯაძეს დიდის პატივისცემით ეპყრობოდნენ მისი იდეიური მოწინააღმდეგენიც.

ამ ბოლო დროს თანდათან უძლიერდებოდა საზარელი სენი (ჭლექი), მაგრამ თვის ჯანსაღობის დაუზოგველად იგი განაგრძობდა მუშაობას და „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოეხმაურებოდა ხოლმე საზოგადოებრივ სხვა და სხვა მოვლენას არჩ. ჯორჯაძის სიკვდილით საქართველომ დაჰკარგა დიდი გონების და ლიტერატურულ ნიჭის ადამიანი, და ვინც ახლო სდგას ქართველ საზოგადოების ცხოვრებასთან, ძნელად თუ ოდესმე დაივიწყოს მომხიბლავი, ნიჭიერი და მომქმედი პიროვნების ადამიანი“.

* * *

გაზეთ „ბაკუს“ მე-72 ნომერში მოთავსებულია წერილი არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალებაზე.

„ეხლა ხან გარდაცვალებულ არჩილ ჯორჯაძის სახით ქართველმა საზოგადოებამ დაჰკარგა ერთი თვალსაჩინო ნიჭი და გამბ-

ტ. IV.

დავი პუბლიცისტთაგანი. ქართულ ეროვნულ თვითშეგნების ნათელმა გამომხატველმა, საქართველოს ავტონომიის იდეის წინასწარმეტყველმა, იპოვნა ეს ჭეშმარიტი თვისი მოწოდება ხანგრძლივ ძიებისა და კულტურულ განცდათა შემდეგ.

სტუდენტის სკამიდან თავშეუკავებელი მისწრაფებით იგი დაუახლოვდა ხან ქრისტეს, ხან ბუდას, 1897 წელს იგი მოჰყვება ლონდონში ტოლსტოის—საზოგადოებაში, შემდეგ იგი ჩაერთვება უფრო მომქმედ და მებრძოლ ნაკადს, მის სულისთვის უფრო მონათესავე მოძღვრებას—საფრანგეთის ანარქიზმს.

მაგრამ მშობელი ნიადაგი ძლიერად მოუწოდებდა მას თავისკენ. 1901 წელს, საზღვარ გარეთში მოგზაურობის შემდეგ იგი ტფილისშია—ქართულ პრესის პირველ რაზმშის დგას--მებრძოლი დემოკრატიისთვის და მთლად შთანქმული ერის გამოფხიზლების აზრით, აზრით ეროვნულ თავის დაცვისა.

რასაკვირველია, უმთავრესი მას არ უთქვამს. თავ. გოლიცინის მიერ ფეხებ შებორკილ ტფილისიდან იგი მიდის პარიზში და რამდენიმე, როგორც თვითონ, თავგანწირულ მეგობრების დახმარებით დრო-გამოშვებით (1902—1904), გამოსცემს გაზეთ „საქართველოს“ მის ფურცლებზე ვპოულობთ პირველად ნათლად გამოხატულს საქართველოს ავტონომიის პროგრამას.

1905 წელს, იგი კვლავ სამშობლოშია: დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი ქართულ მეორე დემოკრატიულ პარტიისა, სასიკვდილო სენით დაავადებული, ჯორჯაძე იშვიათის ენერგიით გამოეხმაურება საზოგადოებრივ სხვა და სხვა მოვლენებზე: ლიტერატურის, პოლიტიკის, სარწმუნოების დ ხელოვნებაზე. მისი ცხოვრება გარდაიქნება განუწყვეტელ ბრძოლად, მძიმე, აუტანელ მუშაობად, ბრწყინვალე თვისი შედეგებით და განუზომელ ნაყოფიერებით.

ჭეშმარიტი გმირობის სულით ჰბერდა ამ ადამიანისაგან, რომელიც დაუღალავად აზროვნებდა ცხოვრებაზე და ცხოვრებისთვის, იმ დროს, როდესაც სიკვდილი მკაცრი სიხარბით მრავალ წელთა განმავლობაში უღობავდა მას გზას ამ ცხოვრებისაკენ.

კალმის ჭეშმარიტმა რაინდმა, თვის გულის თქმათა პირდაპირობით, ქადაგების გულწრფელი მხურვალებით და თვის ნაწერების კეთილშობილ თავშეკავებით გაამშვენიერა ქართული ბეჭვდითი სიტყვა. თვის ხალხის და სამშობლოს ღრმად მცხოველყოფილი და აუცილებელი საკითხები შესძლო მან შეეკავშირებინა საკაცობრიო კულტურის მიმდინარეობა'თან, და ევროპის კულტურამ კი არ წაშალა, არამედ უფრო აშკარად ჰყო მის სახით ადამიანის ბუნება. იგი გარდაიცვალა მხოლოდ ორმოცი წლისა და სიკვდილის შემდეგ დასტოვა ლიტერატურული ძეგლი—თხზულებათა რამდენიმე ტომი და წარუშლელი კვალი მის მცნობთა და მკითხველთა გულში. ასეთი კი იყო მთელი ქართველი საზოგადოება.

იგი დაიხსომებს არჩილ ჯორჯაძის ალთქმას და არ დაივიწყებს მას, ვინც დაბადებული იყო ხელმხვანელად, ბელადად, და ასე უდროოდ მოსწყდა ცხოვრებას“.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ტფ. თავად-აზნაურობის მინდობილებით ცალკე კომისიამ მწერალთა შორის ასე გაანაწილა გადადებული 1650 მანეთი: ი. გრიშაშვილს, ს. აბაშელს, დ. კასრაძეს, კონდრ. თათარაშვილს და ისტორიკოსს 3. ინგოროყვას სამას-სამასი მანეთი დაუნიშნა ერთდროულად, ხოლო გ. ქიქოძეს—150 მანეთი.

✦ **საბირჟო ცნობები.** 1 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 75 კ., აძლევენ—85 მან. 50 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. აძლევენ—82 მან. 50 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მან., 75 კ., აძლევენ—77 მან. 75 კაპ.

✦ ნაძალადევს ტფ. დედათა **საეპარქიო სასწავლებლის** შენობაზე მესამე სართულის დადგმას შეუდგებიან.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს უკანასკნელი ნომერი. შინაარსი: 1. აბა გამოიცან ვინა ვარ? სურათი 2. ყმაწვილებს!—ლექსი აკაკისა; 3. დედა-თაგვი (ბიკოვიდან); 4; ზღაპარი-გამოცანა (გაგონილი სოფ. წრომში) გიორგი სალარიძისაგან; 5. არწივის მარცხი—(ბიკოვიდან) კუდრაჰასი; 6. ავ მუშას ყოველთვის არ ჩაუვლის ზარმაცობა თეოდოროვ-დავიდოვისა—თარგ. კატო თაქთაქიშვილისა; 7. მელიას განზრახვა ლექსი 6. ზომლეთელისა; 8. გოგიას ნაამბობი, კიკნა-ფშაველასი; 9. შავ-თავა ყვავი და ყვითელი ჩიტი იადონი, მამინ სიბირიაკისა თარგმანი ა. ფ—სი; 10. წვრილმანი: გამოცანები, ანაგრამა, შარადა და ნაკვესი; 11. გოდება ტყისა, ლექსი გელასი; 12. ირემი, სურათი გ. ქუჩიშვილისა; 13. დროებით ვალდებულ გლეხების განთავისუფლება; 14. მოხუცი მეთევზე (დასასრული) თარგმ. ნ. ენუქიძისა; 15. მტკვრის სათავე, ქოროხი და თამარ მეფე, მგზავრის დღიურიდან—ილ. ალხაზიშვილისა; 16. პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ველურების ყოფა-ცხოვრება, ლუნკევიჩისა (გადმოკეთებული) იტა ნაკაშიძისა; 17. ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი).

✦ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის** 15-დან 27 მარტამდე სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას 57 ოქმი შეუდგენია. ამ რიცხვში 23 ოქმი შეუდგენია ყასბებზე ხორცის ნიხრის დარღვევისთვის.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, სოფელ გიორგიწმინდაში **მინდვრის თაგვი** გაჩენილა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა დღეს, საღამოს 7 საათზე, ავჭალის აუდიტორიაში **ოსურ ენაზე ლექციას** გამართავს. თემა: „ოსების მდგომარეობა ოსმალეთში“.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი (საჯარო) სხდომა გაიმართება პარასკევს, 5 აპრილს, საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა კრებულის დარბაზში. ბ-ნი ჰ. ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „შოთა რუსთაველი და მისი თანამედროვე „კრიტიკოსები“. მომხსენებელი გაარჩევს ბ-ნ სერგო კაკაბაძის მოხსენებას შოთა რუსთაველის შესახებ. მოხსენების შემდეგ კამათი გაიმართება. შესვლის ნება ყველასა აქვს. შესასვლელ ბილეთების მიღება შეიძლება (უფასოდ) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

კრებაზე საზოგადოების საბჭომ, სხვათა შორის, მოიწვია თვით ბ-ნი ს. კაკაბაძეც.

✦ **ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 31 მარტს მოხდა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების 1912 წლის ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ საანგარიშო წელს საზოგადოებას 154,446 მან. მოგება დარჩენია. კრებამ აგრეთვე დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 87,000 მან.

✦ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა **შემნახველ გამსესხებელ კასის** წევრთა წლიური კრება 30 მარტს მოხდა ა. მ. ბოვშიკის თავმჯდომარეობით. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ა. ი. ხატისოვის მიერ წაკითხულ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1913 წლის 1 იანვრისთვის კასას 555 წევრი ჰყოლია; 1912 წლის განმავლობაში კასას გაუცია სესხად 117,291 მან. 14 კაპ., აზოვ-დონის ბანკში ჰქონია 46,828 მ. 31 კ., 1913 წლის 1 იანვარს ძირითადი თანხა ჰქონია 12,000 მან., ნაღდი მოგება დარჩენია 2,740 მან. კრებამ ანგარიში დაამტკიცა. დასასრულ არჩევნები მოხდა. გამგეობის წევრებად აირჩიეს: ქ-ნი ბლოკი, სტაროსელსკი, ვ. ხახანაშვილი და შარაპოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: ა. ი. ხატისოვი, ა. პ. საქსაგანსკი და ა. ა. ზურაბიანცი.

## სასამართლო

✦ **სულაბერიძის საქმე.** გუშინ მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის კამერაში გაირჩა საქმე ალაჯანოვისა და ფახნიანსკისა, რომელნიც ცილისწამებისათვის ხმ. სულაბერიძემ სამართალში მისცა. სასამართლოს სხდომა დილის 10-ნახევარ საათზე დაიწყო და განუწყვეტლივ 7-ნახევარ საათამდე გაგრძელდა. სხდომის შეწყვეტამდე მხოლოდ მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა მოასწრეს. კრება განახლდა საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით ანგარიშს ხვალ მოვათავსებთ.

# შეკითხვა ბ-ნ გრ. დიასამიძეს

„თემის“ უკანასკნელ №-ში ბ-ნი გრიგოლ დიასამიძე სწერს, თითქო განსვენებულ ილია ჭავჭავაძეს არა ერთხელ გამოუთქვამს როგორც ბ. დიასამიძესთვის, ისე ბევრ სხვებისათვის საყვედური, „რომ „ცნობის ფურცელმა“ არ დაუბეჭდა მას საპასუხო წერილი, რომელიც მიმართული იყო მაშინდელ ჟურნალ „მოგზაური“-ს ერთის კორესპონდენტის წინააღმდეგ, რომელიც მის შესახებ საზიზღარ ცნობებს აწვდიდა მკითხველ საზოგადოებას“.

იმ დღიდან, როცა „ცნ. ფურ.“ ალ. ჯაბადარის გამომცემლობის ხელში გადავიდა, მის დახურვის დღემდე, მე ვიყავ გაზეთის უახლოესი თანამშრომელი და მეტ შემთხვევაში მისი ფაქტიური რედაქტორიც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძეს არავითარი წერილი არ გამოუგზავნია „ცნობის ფურცელში“ დასაბეჭდათ და, მაშასადამე, „ცნ. ფურცლის“ რედაქციასაც შემთხვევა არ ექნებოდა უარი ეთქვა ილიასთვის. მე არ მახსოვს ასეთი რამ, მაგრამ გრ. დიასამიძის დარწმუნებითი კილო მაკვირვებს და ამიტომ ვთხოვ გამახსენოს ეს ფაქტი, ან დაასახელოს ვინმე „ბევრი სხვათაგანი“, რომელთათვისაც ილიას შეუჩივლია, „ცნ. ფურცელმა“ წერილი არ დამიბეჭდაო. მე, პირიქით, დარწმუნებით ვამბობ, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არა ჰქონია. თუ დამავიწყდა, ვთხოვ ბ. დიასამიძეს მანიშნოს და გამახსენოს.

**გიორგი ლასხიშვილი.**

# ქვირფასი მასწავლებლის ხსოვნას

„ჯორჯაძე გარდაიცვალა“... ასე მოკლედ გვამცნო დეპეშამ თავზარდამცემი ამბავი, გულის მომკვლელი სინამდვილე...

ელვასავით მოედო სტუდენტობას სამწუხარო, სავალალო ამბავი.

ვკითხულობდით ამ ორ საზარელ სიტყვას, ვაკვირდებოდით, კიდევ ვკითხულობდით და მაინც თითქოს ვერ გაგვეგო, მაინც ვერ შევრიგებულიყავით ამ ორი სიტყვის საიდუმლოებას, რაღაც დაუჯერებელ, არაჩვეულებრივ ამბად გვეჩვენებოდა...

ვიცოდით, ველოდით ასეთს რასმე... ვიცოდით. ვგრძნობდით სიკვდილის ყინულივით ცივ სიოს მოახლოებას, მაგრამ მაინც არ გვინდოდა დაგვეჯერებინა, არ გვინდოდა სინამდვილისათვის სასტიკ თვალებში ჩაგვეხედნა...

სასიქადულო მამულიშვილო! ნება მომეცი მუხლმოდრეკით შენი გაცივებული ნეშთის წინაშე გამოვსთქვა ჩვენი „კვნესა გულისა“, ერთხელ კიდევ მოვიგონო, თუ რისთვის გვიყვარდი ახალგაზრდობას, რისთვის გიცქეროდით სასოებით, რითი იყავი ჩვენთვის მანუგეშებელი, მესაიდუმლე და რისთვის არის, რომ ასე გგლოვობთ, ასე დაგვაღონა, გული დაგვწყვიტა შენმა სიკვდილმა.

განა არ იცი, ჩვენო მასწავლებელო? განა ყველას შენმა ნაწერებმა არ აგვიხილა თვალი, განა შენ არ იყავი ჩვენი მასაზრდოებელი, წინამძღოლი ცხოვრების ეკლიან გზაზე? განა შენი სიტყვა არ იყო, ყველას გულში რომ გვხვდებოდა, იქ ჰპოულობდა ადგილს, გამოძახილსა?..

ან კი ვით დავაფასოთ, როგორ გამოვსთქვათ ენითა—ჩვენ შენით და შენითგან ვართ. ვინ იცის, რამდენი ღამეები გაგვითენებია შენი ნაწერების კითხვაში, ვინ ასწერს, როგორის გულის ფანცქალით მოველოდით ყოველ შენს წერილსა!

მოძღვარო! განა შენ არ გვასწავლე დაცვა ყოველი ბეჩავისა, განა შენ არ შეგვაყვარე მშრომელი ხალხი?

გულს გვიკლავს შენი სიკვდილი, იმიტომ რომ შენ გვიჩვენე გზა ხსნისა, გამოსარჩლე გაღარიბებულსა და გაღატაკებულს ქართველ ერს და შეგვაყვარე... მარტოოდენ სიტყვით კი არა, საქმით. მთელი ცხოვრება შენი იდეალის სამსხვერპლოზე დაიწვა... ფეხი აგვადგმევინე, კარგად განგვიმარტე, აგვიხსენი, თუ რა არის „სამშობლო და მამულიშვილობა“.

„აწმყო—შობილი წარსულისაგან, მშობელი არის მომავლისა“—ნათქვამია. იცოდი, კარგად გქონდა შეგნებული ზემოხსენებული ჭეშმარიტება, გწამდა, რომ აწმყო წარსულთან უნდა იყვეს დაკავშირებული და გაგვახსენე „კიდევ წარსული და მისი ანდერძი“.

გულს გიკლავდა ის არამართებული ბრძოლა, რომელიც ყოველთვის იყო ჩვენი ერის დემოკრატიულ ნაწილში, იცოდი—ძალა ერთობაა—ამიტომ ჰქადაგებდი „დემოკრატიის გაერთიანებას“ და უკანასკნელ წუთამდე გული არ გაგტეხია, არ დაგიკარგავს „შეთანხმების იმედი“...

და როდესაც მოწინააღმდეგენი არ გიჯერებდნენ, ზოგჯერ მკაცრად გექცეოდნენ, როდი ჰკარგავდი „კამათის დასასრულის“ იმედს და უთითებდი, იძახდი: „გაერთიანება მაინც შესაძლებელია!“

საყვარელო მასწავლებელო! ამ შავ-ბნელ დროს, როდესაც ირგვლივ წყვდიადი გამეფებულა, შენი სიტყვა მუდმივ, მარადის გვამხნევებდა; გწამდა, გატაცებით გვიმტკიცებდი, რომ ეს ჟამი არის „გარდამავალი ხანა“...

კარგად გქონდა შეგნებული ჩვენი „ავადმყოფი საზოგადოების“ ვითარება, ყურადღებას აქცევდი „წარსულის გაკვეთილებს“ და ყოველთვის „დოკუმენტებით ხელში“ ებრძოდი „მავნებელ სენს“...

და მერე განა შეგვიძლიან დაგვივიწყოთ, ძალგვიძს შენი ულმობელი სიკვდილით არ დავღონდეთ, როდესაც ამდენი რამ გისწავლებია ჩვენთვის?..

ჩვენო მეგობარო! როდესაც გონება ვერ მოჰრევია რომელსამე საგანს, როდესაც რაიმე საკითხი გადაუწყვეტელი გვრჩებოდა—ყველას შენსკენ გვქონდა თვალნი მოპყრობილნი... „რას იტყვის არჩილი“ და უცდიდით შენს სიტყვას. შენც უანგარო, წმინდა ადამიანო, იტყოდი სადად, იტყოდი პირდაპირ, გაბედულად, მიუკიბ-მოუკიბველად და ყოველი ეჭვი, ყოველი სევდა გულს გადაგვეყრებოდა!..

ყოველთვის კარგს ამბებს ვერ გვეუბნებოდი, რადგან ცოტაა, ძლიერ მცირეა ჩვენში ამასთანა რამე, მაგრამ შენი გამამხნევებელი სიტყვით აღგვაფრთოვანებდი „ჟანგს გვაშორებდი“, გვიხატავდი შორეულ იდეალსა... და ჩვენც გვჯეროდა გვჯერა, გვწამს ახლა, გვეწამება მარადის, ვიდრე ჩვენი იდეალი არ განხორციელებულა.

კიდევ ბევრი რამ გვასწავლე, კიდევ ბევრი მაგალითი გვიჩვენე, ძვირფასო მასწავლებელო, და ყველა ეს კარგად გვახსოვს, გულის ფიცარზე ცეცხლის ასოებითა გვაქვს დაწერილი...

გული სიხარულით გევსებოდა, სიამოვნებე გეროდა, როდესაც აკვირდებოდი ახალგაზრდობას და აღნიშნავდი: „ჩემს თვალწინ ვხედავ ჯეჯილის, ნორჩს და მობიბინეს, ახალგაზრდობის ახალ ფორმაციას“...

მამულიშვილო! გრძნობდი, იცოდი, რომ „არა პურითა ერთითა სცხონდების ადამიანი“. ამიტომ გეინტერესებოდა სულის დამასვენებელი პოეზია, ხელოვნება, ამიტომ გვებაასებოდი ასე ხშირად, ამიტომ სცდილობდი...

# იმერეთის სამეფოს უკანასკნელი დღენი

(1804—1810 წ.).

როგორც ვიცით, 1804 წელს დროთა ვითარებამ აიძულა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე და მიაღებინა რუსეთის მფარველობა. ამ დღიდან ის მოსვენებულად აღარ გრძნობდა თავს. დღეს ის მეტს ტანჯვა-ვაებას განიცდიდა, ვიდრე ოსმალების შემოსევის დროს. მისი თავმოყვარეობა და თავისუფლების მოყვარული გული ვერ შეეთვისნენ ახალ მთავრობას და მათ მართვა-გამგეობას. მან აირჩია ან სიკვდილი, ან იარაღით ხელში წინააღმდეგობა რუსის ჯარისა.

„მე არ შემიძლიან იქ ვიცხოვრო და მოვისვენო, სწერს სოლომონ მეფე, სადაც რუსის ჯარი არისო“. [1])

ხშირად სთხოვდა რუსის მთავრობას ქუთაისიდან გაეყვანათ რუსის ჯარი, მაგრამ, როცა ვერას გაჰხდა, თითონ გადასწყვიტა, მიეტოვებინა ქუთაისი. რომ უფრო თავისუფლად ემოქმედა, სოლომონი ქუთაისიდან სოფ. ვარციხეში გავიდა. ვარციხე მაშინ მიუვალ და მაგარ ადგილად ითვლებოდა დ აქსოლომონი უფრო ღონივრადა ჰგრძნობდა თავსა. მეფეს თან წაჰყვნენ სახლთ-ხუცესი თავ. ზურაბ წერეთელი, ლეონიძე და ბევრი სხვა თავადნი დ აზნაურნი.

მეტად ერთგული და თავდადებული იყო მეფისა თ. ლეონიძე და დიდი გავლენაცა ჰქონდა მასზე. რუსებს ისე მეფე სოლომონისა არ ეშინოდათ, როგორც ჭკვიან და მეტად განათლებულ თავ. ლეონიძისა. რუსები მას თავის მოუსვენარ მტრად სთვლიდნენ. ვერაფერი საჩუქრით ჩინ-ორდენებით ვერ მოისყიდეს ლეონიძის თავისუფლების და მამულის მოყვარული გული. ლეონიძეს კარგად ესმოდა, რომ თუ მეფეს და სამშობლოს უღალატებდა, ვერასფერი საჩუქარი ვერ აუნაზღაურებდა ღალატს, დიდს შეცდომას ჩაიდენდა.

სულ სხვა პოლიტიკას ადგა სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი. იგი დრო გამოშვებით ხან მეფეს ღალატობდა, ხან რუსებს.

ზურაბ წერეთელმა ჩუმად დამოკიდებულება დაიჭირა რუსებთან. დიდი იმედი ჰქონდა, რომ რუსების შემწეობით ის გახდებოდა სოლონის შემდეგ იმერეთის ტახტის მემკვიდრედ. მეტად ჭკვიანი, თავ-დაჭერილი და ეშმაკი ზურაბი ფიქრობდა ეღალატნა სოლომონისთვის იმ შემთხვევაში თუ მიიღებდა ტახტს. მაგრამ გაიგო თუ არა, რომ ეს შეუძლებელი იყო, მან ისევ უღალატა რუსებს და მათი დაუძინებელი მტერი გაჰხდა.

მეფე სოლომონი დიდ შველასა და დახმარებას ელოდა ოსმალებისა და სპარსელებისაგან, მუდამ მიწერ-მოწერა ჰქონდა მათთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან. მათმა დახმარების იმედმა კიდევაც გაამაყა მეფე სოლომონი. ხშირად ის რუსის მთავრობას ამა თუ იმ შეკითხვაზე სრულიად პასუხსაც არ აძლევდა.

ქუთაისის მმართველი სტატსკი-სოვეტნიკი ლიტვინოვი როდესაც დარწმუნდა, რომ სოლომონ მეფესთან მოლაპარაკებითა და ნებით ვერას გაჰხდებოდა, რაპორტით მიჰმართა გრაფ გუდოვიჩს და სთხოვა ნება მიეცა მისთვის, ურჩი სოლომონი დაეჭირა და ტფილისს გაეგზავნა, მუდამ საცხოვრებლად [2]). გრ. გუდოვიჩი ასეთი წინადადების წინააღმდეგი იყო.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო სოლომონ მეფე ურჩად ექცეოდა რუსის მთავრობას და სთხოვდა უსათუოდ ჯარი გაეყვანათ ქუთაისიდან. „პასუხის-მგებელი არ ვიქნებიო, სწერდა სოლომონი გრაფ. გუდოვიჩს, თუ ჯარი არ გაგიყვანიათ ქუთაისიდან და თუ რამ ცუდი შეემთხვათ მათ“. [3])

ამავე დროს სოლომონმა დაითხოვა სახლთ-ხუცესი ზურაბ წერეთელი, როგორც ორპირი და მის ადგილას დანიშნა როსტომ ნიჟარაძე, შეურიგებელი მტერი რუსებისა.

იმპერატორმა ალექსანდრე I უბრძანდა გრაფ გუდოვიჩს უსათუოდ დაეტყვევებინათ სოლომონ მეფე ოჯახობითა და რუსეთში გადაესახლებინათ საცხოვრებლად, [4]) იმერეთში დაეფუძნებინათ დროებითი სამმართველო. დიდი იმედი ჰქონდა რუსის მთავრობას ზურაბ წერეთლისა. მათ ეგონათ, რომ მისი შემწეობით ხელს იგდებდნენ სოლომონს. ამ აზრით ზურაბ წერეთელს უბოძეს პოლკოვნიკის ჩინი და დაუნიშნეს ჯამაგირი 1,200 მანეთი. აგრეთვე მას აღუთქვეს თავმჯდომარის ადგილი იმერეთის დროებითი სამმართველოში... სულ სხვას ფიქრობდა ზურაბ წერეთელი, სულ შორს იყო ეს ადგილი და საჩუქრები მისგან განზრახულ იმერეთის ტახტისაგან და ამისათვის მან ყველაფერზე უარი განაცხადა და წავიდა საცხოვრებლად თავის საჩხერის მამულში.

დრო გადიოდა და სოლომონის ხელთ-ჩაგდება დღითი-დღე ძნელდებოდა. გუდოვიჩმა იმერეთის ჯარის უფროსად დაინიშნა თავ. ორბელიანი. გრაფ გუდოვიჩს იმედი ჰქონდა, რომ ორბელიანი როგორმე მოტყუებით ჩაიგდებდა ხელში სოლომონ მეფეს. ჩამოვიდა თუ არა ორბელიანი ქუთაისში, მაშინვე მოლაპარაკება გამართა სოლომონ მეფესთან და თან სთხოვდა მას, ქუთაისში დაბრუნებულიყო. ორბელიანმა სთხოვა აგრედვე სოლომონ მეფეს, მიეცა ნება მისთვის მასთან პირის-პირ ნახვისა და მოლაპარაკებისა. სოლომონი დასთანხმდა ამაზე. სამი დღე ჰქონდათ სოლომონსა და ორბელიანს მდინარე ყვირილაზე მოლაპარაკება. ბოლოს ორბელიანმა ნება მიიღო ჯალმა გასულიყო მეფესთან სალაპარაკოდ, ორბელიანს დიდი იმედი ჰქონდა თავისი ცბიერი ენისა, მას ეგონა, რომ დაითანხმებდა სოლომონ მეფეს, მაგრამ მოსტყუვდა. სოლომონი არ დაიჯდა მას და ყველაფერზე უარი უთხრა, უარი უთხრა ქუთაისში დაბრუნებისაც.

როდესაც საქართველოს მთავარმართებლად გუდოვიჩის მაგიერ ტორმასოვი დანიშნეს, სოლომონ მეფეს სულ გაუჭირეს საქმე. ტორმასოვმა ყოველი ღონისძიება მიიღო როგორმე დაეტყვევებინა სოლომონ მეფე. მას ესმოდა ზურაბ წერეთლის მნიშვნელობა იმერეთში და მისი გავლენა სოლომონზე. და ამისათვის ხელ-ახლა ზურაბ წერეთლის შემწეობით მოინდომა შეეპოვარი იმერეთის მმართველის ხელთ-გდება, მაგრამ მოსტყუვდა. სოლომონ მეფე, მორჩილების მაგიერ, მეტად მკვახე წერილებს სწერდა ტორმასოვს და აბრაზებდა.

სხვათა შორის 1810 წელს იანვრის დამდეგს სოლომონმა მისწერა წერილი ტორმასოვს. წერილი ქუთაისიდან წაიღეს ტფილისში როსტომ აბაშიძემ, სოფრომ მიტროპოლიტმა და ნიკოლოზ დეკანოზმა. წერილში აღწერილი იყო ის შევიწროება და შეწუხება, რომელსაც რუსები აყენებდნენ იმერეთის სამეფოს.

„მოწყალეო ხელმწიფეო, სწერს სოლომონ მეფე ტორამასოვს, მერწმუნეთ მე, როგორც პატიოსან პირს და მართლმორწმუნე მეფეს, რომ მე მსურს დავემორჩილო რუსეთის მთავრობას და ვემსახურო მას. მე არ დამირღვევია ის პირობა, რომლითაც მე შევუერთდი რუსეთს. არა ერთხელ მომიწერია თქვენთვის, რომ თქვენმა წინამოადგილეებმა. არ აასრულეს პირობა, დაარღვიეს იგი და გასტეხეს ფიცი. თუ შეასრულეთ ყველაფერი, რასაც შემპირდით[1]).

1) მაშ სად არის ლეჩხუმის ჩემი მამა-პაპეული მამული, რომლითაც მე შევუერთდი რუსის მთავრობას და რომლის შესახებაც მე მაქვს თავ. ციციანოვისაგან ფიცქვეშ მიცემული აღთქმა და ხელ-წერილი?

2) თუ არ დაგირღვევიათ პირობა, ჩვენ გვქონდა ჩუა-გულ ლეჩხუმში ციხე დეხვირი, რომლის მეციხოვნე ჯარი მათ ამოსწყვიტეს. ჩვენ ვითხოვეთ სამართალი, თქვენ კი ჩამოგვართვით ციხე და მიეცით იგი დადიანს.

3) თუ წმიდად შეასრულეთ პირობა, ჩვენ დავბეჭდეთ ქუთაისში ჩვენი ვაჭრის დუქანი, მაგრამ ჩვენდა საწინააღმდეგოდ სტატსკი პოლკოვნიკმა,[2]) ააგლიჯა ჩვენი მეფის ბეჭედი, გასტეხა დუქანი, საქონელი გამოიტანა და მისცა მედუქნეს, რომელზედაც ჩვენ გამწყრალი ვიყავით.

4. თუ წმიდად შეასრულეთ პირობა—ციციანოვმა სხვათა შორის აღგვითქვა ჩვენ, რომ ჩვენ სამეფოში იქნებოდა ცოტა ჯარი—ერთი როტა—120 კაცი იდგომებოდა იქ, სადაც მე მოვისურვებდი, რის ძალით მაშინ იქნა დანიშნული ერთი მაიორი ას ოცი სალდათით. და ეხლა კი იქ, სადაც მე არა მსურს, სდგას ურიცხვი რუსის ჯარი?

5. თუ წმიდათ შეასრულეთ—ჩვენ გვაქვს ხელ-წერილი და პირობა ფელდმარშალ გუდოვიჩისაგან, რომ რეკრუტის გარდა, მკვდარს სალდათების მაგივრად არ შემოვა იმერეთში არც ერთი შეიარაღებული სალდათი და დღეს კი აქ მთელი რაზმები ზამთრობენ.

6. თუ შეასრულეთ პირობა—მაშ რათ წაგვართვით ჩვენ ჩვენი ქალაქი ქუთაისი, სადაც ამდენი წლიწადია ცხოვრება აღარ შემიძლიან?

7. თუ შეასრულეთ პირობა, მაშ რისთვის არის, რომ ქუთაისში ჩვენ სასახლეში, ჩვენ საწოლ ოთახებში თქვენს ჯარის კაცებს საყვარელი ქალები უყენიათ?

8. თუ შეასრულეთ პირობა, მაშ—რისთვის დაანგრიეთ ჩვენი სასახლე ქუთაისში?

9. თუ შეასრულეთ, მაშ რისთვის იყო, რომ თითონ ქუთაისში, სალდათებმა დაიჭირეს ჩემი სიძე, უპირველესი თავადი იმერეთისა დავით წულუკიძე, მიწაზე ათრიეს, სცემეს, თავი გაუტეხეს და მთლად გასისხლიანებული წარმოგვიდგა ჩვენ? ამაზე ჩვენ ვითხოვე მართლ-მსაჯულება და თქვენ კი გვიპასუხეთ, სალდათებმა ვერ იცნეს წულუკიძე, თორემ არა სცემდნენ მას, მით უმეტეს, რომ მას არაფერი ბრალი არ მიუძღვისო.

10. თუ შეასრულეთ პირობა, მაშ რა არის, რომ ამდენი ხანია რუსის ჯარი სდგას ჩვენს სამეფოში, ისე

[1]) ...ნ. პოტტო. ტ. II, გვერდი 54.

[2]) რაპორტი სტ. სოვ. ლიტვინოვისა 28 ივლისს 1806 წ. № 1103.

[3]) წერილი სოლომონ მეფისა გრაფ. გუდოვიჩთან 27 ნოემბერს 1807 წ.

[4]) რაპორტი გენერალ რიკოგოვისა გრაფ. გუდოვიჩთან 26 აგვისტოს 1808, № 160.

[1]) წერილი სოლომონ მეფისა ტორმასოვთან 5 იანვარს 1810 წ.

[2]) ალბად სტატსკი-სოვეტნიკი ლიტვინოვი მაშინ მმართველად იყო.

ლობდი სწორი, მართალი შეხედულება გვქონოდა ხელოვნებაზე.

შენ გვაყვარებდი კეთილშობილ საგნებს: ხელოვნება-პოეზიასა.

აი, რისთვის გვიყვარხარ, რისთვის მოვლუშულვართ, რისთვის გგლოვობთ...

განა შესაძლებელია გაჰქრეს, მოისპოს, აღმოიფხვრას ჩვენს გულში შენი მადლიანი ხელით დათესილი წმიდათა-წმიდა, ახლა რომ აბიბინეულა?

შენი წმიდა ნეშთის წინაშე სასოებით მუხლს ვიდრეკთ და წრფელ აღთქმასა ვდებთ, ჩვენი სიცოცხლე მთლად იმ საქმეს შევალიოთ, იმ საგანს დავედლოთ მტლად, რაც შეადგენდა შენი ცხოვრების და ნაწერების შინაარსსა, დედა აზრსა და რაიც კუთვნილება უნდა იყოს ისეთი ადამიანისა, რომელიც „კაცი ყოფილა, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“, კუთვნილება უნდა იყვეს ყოველი მამულიშვილისა, ვისი მშვენიერი მაგალითი, მასწავლებელო, შენ იყავი...

ამას გეუბნება უკანასკნელად მგლოვიარე ახალგაზდობა.

**ქ. რაჭველიშვილი.**

## არჩილ ჯორჯაძის
### გარდაცვალების გამო.

კვირას, 31 მარტს, ოდესის ქართველმა სტუდენტობამ საკათედრო ტაძარში გადაიხადა პანაშვიდი არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. სხვათა შორის პროფ. მელიქიშვილი, პრ.-დოც. მოსეშვილი და ავალიანი, სტუდენტები და კურსელები, ქართველთა ოჯახობა და მუშები.

**კარბელი.**

—

ერევნის ქართველმა საზოგადოებამ არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად გადაიხადა პანაშვიდი.

—

რედაქციამ მიიღო ვაისბადენიდან **ლომთათიძის** სამძიმრის დეპეშა არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო.

—

კვირას, 24 მარტს, ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა გაბრიელმა, მონასტრის ძმათა თანამწირველობით, გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ მამა არქიმანდრიტმა მოკლედ გააცნო საზოგადოებას არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობა და აღნიშნა ის, რომ საუკეთესო მამულიშვილები ხელიდან გვეცლებიან. გალობდა ორი გუნდი: მონასტრის ძმებისა და მონასტერთან არსებული სკოლის მოწაფეებისა.

—

26 მარტს, კაჭოეთის (გარეკახეთი) ეკლესიაში მღვდელმა მ. გიორგი ბოჭორიძემ გარდაიხადა პანაშვიდი განსვენებული არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ბევრი გლეხობა და ადგილობრივი ინტელიგენცია დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ მ. ბოჭორიძემ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, დაუხასიათა დამსწრეთ განსვენებულის დიადი საეროვნო მოღვაწეობა და მისწრაფება.

## მოგონება სკოლის ცხოვრებიდან
### (არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას).

ქუთაისის გიმნაზიაში მე და არჩილი ერთად ვსწავლობდით. ის იყო მხიარული, მარდი და დაუზარებელი ყმაწვილი, უყვარდა სუფთად და კოხტად ჩაცმა. შავი ხუჭუჭა თმა, ცოცხალი, შავი და გამომეტყველი თვალები, სქელი წარბები ამშვენებდნენ იმის ლამაზ სახეს. ამხანაგებს ყველას უყვარდა არჩილი, რადგანაც ის იყო მეტად გულკეთილი და ხათრიანი ყველასთან. არჩილს ყოველ დღე მოჰქონდა კლასში საუზმე და მესამე გაკვეთილის შემდეგ გვიმასპინძლდებოდა ამხანაგებს. სწავლაში არჩილი ნიჭიერი იყო, ამასთანავე უყვარდა ხანდახან ცელქობაც. წერის გაკვეთილების მასწავლებლად გვყავდა განსვენებული გრ. მაისურაძე, რომელსაც სამხატვრო აკადემიაში ჰქონდა მიღებული განათლება და წერა შესანიშნავი იცოდა; ის იყო გულკეთილი მოხუცი, კლასის წესიერების დაცვაში სუსტი იყო, ამიტომ მოსწავლეები ხშირად ვაჯავრებდით და იმის გაკვეთილზე ყოველთვის ერთი აურ-ზაური და ხმაურობა იყო. ზარის დარეკის შემდეგ 10—15 წუთს ყოველთვის დაიგვიანებდა, შემდეგ გამოჩნდებოდა თუ არა კლასის კარებში, არჩილი ჩაძვრებოდა სკამებში და კატასავით დაიკნავლებდა, ამას მივყვებოდით სხვებიც და გახდებოდა კლასში ერთი ამბავი; მოხუცი მასწავლებელი დაიხურავდა ქუდს და გაბრუნდებოდა უკან შემდეგი სიტყვებით: „Я не хочу заниматься съ вами, доложу объ этомъ инспектору“, არჩილი პირველი გამოხტებოდა სკამებიდან, თან სხვებიც გავიქცეოდით, დავეწეოდით კლასის ტალანის გასათავებელში მასწავლებელს და ხვეწნით მოვაბრუნებდით ისევ, ისიც გვეტყოდა „ну, хорошо“ და შემოვიდოდა კლასში თუ არა, ხელახლავ ატყდებოდა ძველებური ამბავი, ამასობაში გაკვეთილიც გაივლიდა უქმად. მეხსიერება განსვენებულ მაისურაძეს არ ჰქონდა, მოსწავლის გვარის დამახსოვრება ძნელად შეეძლო, ამიტომ მოსწავლეები ხშირად ატყუებდნენ მას. ყოველთვის დაფიდან გვაწერინებდა; ერთი და იგივე სიტყვების ჩამოწერა უყვარდა დაფაზე „Астрахань, Бобруйскъ“ და სხვა... კვირაში ერთხელ გაგვიძახებდა კათედრასთან, დახედავდა ნაწერს, რვეულზედაც დააწერდა ნიშანს კარანდაშით და კლასის დღიურშიც ჩანიშნავდა, რომელი მოსწავლეც მიიღებდე ნიშანს ხუთს, შემდეგ ყველას იმისი რვეული გვქონდა საჩვენებლად. ერთხელ არჩილის რვეულით მთელმა კლასმა ხუთები ჩავაწერინეთ მასწავლებლის დღიურში: არჩილმა ყველაზე უწინ გაურბენინა თავისი რვეული და უჩვენა, მასწავლებელმა დაუსვა რვეულზე ფანქარით (კარანდაშით) ხუთი, შემდეგ ყველას სათითაოდ გვათხოვა არჩილმა რვეული, მოწერილ ნიშანს ვშლიდით რეზინით და ვუჩვენებდით მასწავლებელს, ამგვარად კლასის დღიურში ყველას ხუთები გვეწერა. არჩილი მეტად გაბედული და თამამი იყო: როდესაც რომელიმე გაკვეთილზე მასწავლებელი არ გვეყოლებოდა ხანდახან გიმნაზიის ეზოში გამოგვიშვებდნენ სასეირნოდ იმ პირობით, რომ არ გვეყვირა და სხვა კლასებისათვის მეცადინეობა არ შეგვეშალა. რამოდენიმე წუთს კი ვიქნებოდით წყნარად, შემდეგ საიდანაც იყო გაჩნდებოდა ბურთი და იწყებდნენ ფეხით თამაშს; კლასების დამრიგებლების თანაშემწედ გვყავდა განსვენებული ნიკო აბულაძე, მოხუცებული და დამსახურებული კაცი; გაიგონებდა თუ არა ყვირილს, გამოვიდოდა სამასწავლებლო ოთახიდან გარედ და მოგვაძახებდა: „перестаньте играть“, არვის ესმოდა, კიდევ გაიმეორებდა: „послушай, в мъ говрятъ, перестаньте играть“, თამაში მაინც გრძელდებოდა, ბოლო დროს გაჯავრებული გამოიჭრებოდა ეზოში და გაჰყვებოდა გაგორებულ ბურთს ასაღებად, იგდებდა ხელში, დაიდებდა უკან ხელებს და გაუდგებოდა სამასწავლებლო ოთახისაკენ, ბურთიც თან მიჰქონდა; აბა, ვინ იყო ეხლა გაბედული ბიჭი! ისევ არჩილი მიეპარებოდა უკან ჩუმად და გამოჰკრავდა თითს ბურთს და გამოაცლიდა ხელიდან განსვენებულ ნიკოს; ამ დროს ისიც მოიხედავდა უკან, მაგრამ ბურთი უკვე მიგორავდა და ყველა მას მივსდევდით. ასეთი გაბედული ყმაწვილი იყო არჩილი ბავშვობისას და ცხოვრებაში ხომ უკეთესი და ყველასთვის საყვარელი შეიქმნა. არჩილს მაშინ რუსულად ლაპარაკი უფრო ემარჯვებოდა, რადგან ოჯახში მას რუსული უფრო ხშირად ესმოდა. 1888—9 წლებიდან არჩილი დაგვშორდა ამხანაგებს; იმისი მშობლები ტფილისში გადავიდნენ საცხოვრებლად და არჩილიც იქ გადაიყვანეს გიმნაზიაში; შემდეგ არჩილი აღარ მინახავს; როდესაც ის გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და ვკითხულობდი იმას შინაარსიან ცოცხალ წერილებს, ვფიქრობდი: ნუ თუ ეს ის არჩილია, რომელიც ერთად ჩემთან სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში; არა მჯეროდა, თუ ის ასე კარგად შეისწავლიდა ქართულ ენას. ბოლოს, როდესაც დაიბეჭდა იმისი წიგნები და შევიძინე დავუკვირდი განსვენებულის სურათს, ციცანი და დავრწმუნდი, რომ ეს იყო ჩემი ნაამხანაგარი გულ-კეთილი არჩილი. მას შემდეგ კიდევ უფრო სიამოვნებით ვკითხულობდი იმის ნაწერებს „სახალხო გაზეთში“, რომელიც დღეს იმისი სიკვდილით დაობლებულია. ამ უკანასკნელ დროს ვაპირებდი ბათომში ჩასვლას და ავადმყოფი არჩილის ნახვას, რასაკვირველია მასაც ძლიერ გაახარებდა ბავშობის ნაამხანაგარის ნახვა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ დამიგვიანდა და 22 მარტს უკვე გავიგე გულის მკვლელი ამბავი: **„არჩილი გარდაიცვალაო“**, თვალებიდან ცრემლები გადმომცვივდა და მთელი ერთი საათის განმავლობაში დავმუნჯდი. სკოლაში სამეცადინოდ ვეღარ მივედი...

ქართველი ერის სულის ექიმო, ეროვნული ბანაკის ერთგულო დარაჯო და ჩემო ნაამხანაგარო ძვირფასო არჩილ! გული მომიკლა შენმა უდროოდ დაკარგვამ; ხშირად დავსცქერი შენს ჩაფიქრებულს და დინჯს სახეს სურათზე და თვალები ცრემლებით მევსება; მაგონდება მაშინდელი შენი ბეჯითი ლაპარაკი, კარგი ამხანაგობა, გულკეთილობა, ხან სიდინჯე და ხან ცელქობა და ეშმაკობა. შენის დაკარგვით ქართველ ერს მოაკლდა ეროვნული იდეალების საუკეთესო დამცველი, შეუპოვარი მებრძოლი, ერთგული ქირისუფალი და გაბედული წინამძღოლი. შენ გრწამდა ქართველი ერის კარგი მომავალი და ამ რწმენას სიკვდილამდე თავგამოდებით ემსახურე; შენ მტკიცედ ასრულებდი მგოსნის სიტყვებს:

**„კაცი ის არის, ვინც მისდევს**
**დიდის მოძღვრისა მცნებასა,**
**იბრძვის და იბრძვის ერისთვის,**
**ქვეყანას მისცემს შვებასა“,**

ამიტომ დღეს დაობლებული შენი საყვარელი სამშობლო, რომელიც ჯერ ბევრ სიკეთეს მოელოდა შენგან, მწარედ დაგტირის და მასთან მეც, შენი ნაამხანაგარი, სახალხო მასწავლებელი, რომელსაც, წილად მხვდა იმ ხალხის სამსახური ვისთვისაც შენ სანთელივით იწოდი, წრფელის გულით ცრემლს ვღვრი და სიკვდილამდე გულმტკივნეული ვრჩები, რომ ვერ მოვასწარი შენი ნახვა სიცოცხლეში.

**ლადო ბზვანელი.**

## დილა ქართულ გიმნაზიაში

კვირას, 31 მარტს, ქართულ გიმნაზიაში გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო დილა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები დილაზე სამუსიკო განყოფილება სჭარბობდა. როგორცა სჩანს, მუსიკის სწავლების საქმე კარგად არის დაყენებული ქართულ გიმნაზიაში. როგორც კერძო ამსრულებლებმა, ისე ხორომ და სიმებიანმა ორკესტრმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მსმენელებზე. საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა დ. ობერის „მეთევზეების ხორო“. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ზაქ. ფალიაშვილის ნაწარმოები „აბიო მეფეს აქებდეს ერი“, ნაწყვეტი აბოლებული ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“. ნასიამოვნებმა საზოგადოებამ სთხოვა ემღერათ და დაეკრათ ბ-ნ ყარაშვილის „სამშობლო“. ამასაც საზოგადოება ტაშისკვრით შეჰხვდა.

## რედაქციისაგან

რედაქციას დღემდის, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, აღუნიშვნელი დარჩა ერთი ველური საქციელი. ნაძალადევის თეატრში სცენის მოყვარეებმა ხელით შეურაცხჰყვეს ჩვენი გაზეთის რეცენზენტი. ჯერ იყო და უზრდელი წერილი გამოუგზავნეს რედაქციას, როდესაც ვსთხოვეთ განსაზღვრული ადგილი მიეჩინათ ნაძალადევის თეატრში ჩვენი რეცენზენტისთვის. შემდეგ კი სცენის მოყვარეებმა, რომელთაც, როგორც ეტყობათ, არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმ მიზანზე, რომელსაც სახალხო თეატრი ემსახურება და რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ „კულტურულ“ საქმეს ემსახურებიან, ვერ შეუთვისებიათ კულტურული ქცევა, ხელით შეურაცხჰყვეს ჩვენი თანამშრომელი. ამიტომ რედაქცია თავის გულისწყრომას უცხადებს როგორც შეურაცხმყოფელ სცენის მოყვარეებს, ისე ნაძალადევის თეატრის გამგეობას, რომელმაც ვერ დაიცვა ჩვენი თანამშრომლის ადამიანური ღირსება და იგი სცენის მოყვარეების ველურ ინსტინქტების მსხვერპლად გახადა.

## ქუთაისის აქ-კარგი

უნაკლულო ქვეყანაზე არაფერია და ამიტომ არც სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მოქმედებაა უნაკლულო, მაგრამ სხვა საკულტურო დაწესებულებასთან შედარებით, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება მეტს უნარს იჩენს მოქმედებისას. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ სამ წელიწადზე მეტია ქუთაისში მუდმივი ლექციები იმართება ქართულ ენაზე, დაარსდა სალამოს კურსები და სხვა. ეს ყველა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მოქმედების ნაყოფია. ეხლა სხვა მხარეს მიაქცია გამგეობამ ყურადღება — სახალხო წარმოდგენების უქონლობას ქუთაისში. დრამატიული საზოგადოება მართავს ხოლმე თავის სეზონში ხელ-მისაწდომ ფასებად წარმოდგენებს, მაგრამ, ჯერ ერთი მათ სისტემატიური ხასიათი არა აქვთ და, მერე, ფასები არც ისე „სახალხოა“.

ამიტომ სახალხო უნივერსიტეტის განძრახვა, იაფ ფასიანი წარმოდგენების გამართვის შესახებ, ყოველმხრით მოსაწონია, თუ ამან გამგეობის ძალები არ დაქსაქსა და ბევრის მიმდევარმა ცოტაც ვერ გააკეთა.

შაბათს, 30 მარტს, გაიმართა პირველი იაფ-ფასიანი წარმოდგენა სახალხო უნივერ. საზ. გამგეობის მიერ.

თავდაპირველად აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი ილია ბახტაძის მოწოდებით საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა უდროვოდ გარდაცვალებულ არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას.

შემდეგ ამისა ბ-ნმა ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა რეფერატი სახალხო წარმოდგენების მნიშვნელობის შესახებ. ამას მოჰყვა ა. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავი“-ს წარმოდგენა. ამ პიესის ავი და კარგი ყველამ იცის და მაზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ვიტყვით, მხოლოდ, რომ პირველი წარმოდგენისთვის იგი, მეტი რომ არ ვსთქვათ, სუსტი იყო, თუ რასაკვირველია სცენიურ მხარეს არ მივიღებთ მხედველობაში ზურნით ცეკვით და სხვა ამ გვარებით.

პიესამ მწყობრად ჩაიარა—ამისი თავდები ჩვენი ძველი ნაცნობი მსახიობის ვ. ბალანჩივაძის, გ. თუთბერიძის და ნემოს მონაწილეობა იყო პიესაში; გარეშე ამისა ქ-ნმა ეპიტაშვილისამ ტასიას დედის როლში დაგვანახვა, რომ იგი სასარგებლო ძალა იქნება არა თუ სახალხო წარმოდგენებისა, თვით მუდმივი დასისაც. სხვა მოთამაშენიც უწყობდნენ ხელს წარმოდგენის მწყობრად ჩატარებას და ამიტომ მან სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელზე.

შევნიშნავთ მარტო ერთს: ჩვენს მსახიობებს და სცენის მოყვარულთ ჰგონიათ, რომ თუ ქართლელი გლეხის როლს თამაშობენ, ან სულელათ უნდა გამოიყვანონ, ან და მთვრალი. ეს ჩვენის ფიქრით შეცდომაა და რეჟისორებმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ.

დივერტისმენტში ორმა დეკლამატორმა წაიკითხა ლექსები არჩილ ჯორჯაძის სიკვდილის გამო დაწერილი. ერთიც და მეორეც ხალხმა უხვი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. ბ-მა წულაძემ გურული სცენები მკვირცხლად და მოხდენილად წაიკითხა, რამაც საზოგადოების აღტაცება გამოიწვია.

**ს. ე. ა**

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ვასილ ლოლაძემ—ხეზე გამოჭრილი ხატი.

2) ვლადიმერ მჭედლიშვილმა—დამბაჩა.

3) მარიამ მიხეილის ასულმა საყვარელიძისამ: ა) გულის პირი (ოქრომკერდით ნაქარგი) და ბ) ოქრომკედის სახვევი ფითილა (თითბრისა).

4) ივანე იასონის ძემ ჩერქეზიშვილმა—ქართული გერბის კლიშე (სპილენძისა).

---

სცხოვრებენ როგორც თავიანთ სახლებში. სარგებლობენ ჩვენი შეშით, ბინებით, სურსათით, საქონლის საკვებით, ხარებით, ცხენებით, ურმებით, სასმლითა და საჭმლით წყნარა დ მშვიდად ატარებენ ზამთარსა დ ზაფხულს, და მადლობის მაგიერ, ჩვენვე ვეჯავრებით და ლანძღავენ ჩვენს თავადებს და კეთილშობილთ?“.

„რომ არ გავაგძელო წერილი,—სწერს სოლომონ მეფე,—არ მინდა აღგიწეროთ მრავალი სხვა შეურაცყოფა და შერცხვენა, რომელსაც გვაყენებენ ჩვენ და რომელიც რუსეთისათვის სრულიად სასარგებლო არ არის. ეხლა გკითხებით თქვენ, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ, მოწყალეო ხემწიფეო! მიაქციეთ ყურადღება ამ წერილს და სთქვით: სად არის წმიდად შენახული და დაურღვეველი პირობები და ვალდებულობები თქვენი წინამოადგილეთაგან მოცემული?..“

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წერილს ტორმასოვმა ყურადღება არ მიაქცია და უპასუხოთ დასტოვა. ტორმასოვმა იმერეთს გაგზავნა თავადი ელიზბარ ერისთავი და კაპიტანი ამირეჯიბი. მათ დაავალა როგორმე ემოქმედათ თავ: ზურაბ წერეთელზე დ ლეონიძეზე დ მოტყუებით ხელთ ჩაეგდოთ სოლომონ მეფე.

მალე დარწმუნდა ტორმასოვი, რომ სოლომონის მოტყუებით ხელთჩაგდება ძნელი იყო. ამისათვის გადასწყვიტა მისი ძალით დაჭერა და პეტერბურგში გადასახლება.

ამ დროს ქუთაისში ჯარი ძალიან ცოტა იდგა, მთელი იმერეთი კი შეამბოხეთა ბანაკს წარმოადგენდა. ქუთაისის ჯარის შემწეობით სოლომონის წინააღმდეგ გალაშქრება ძნელი იყო, ამისათვის ტორმასოვმა ქართლიდან მოაშველა ჯარი. ქართლიდან მომავალი მაშველი რუსის ჯარი ორ ნაწილად გაიყო. ერთი რაზმი მაიორ პრიბილოვსკის უფროსობით წამოვიდა სოფელ ალის გზით პირდაპირ საჩხერეში, მეორე კი მაიორ რეუტის უფროსობით—სურამიდან. ამ უკანასკნელ რაზმში იყო თითონ ტორმასოვიც. მაიორ პრიბილოვსკის რაზმი დიდი წვალებისა დ ტანჯვის შემდეგ ოც თებერვალს საჩხერეში მივიდა.

მეორე დღეს მას წარუდგნენ მიტროპოლიტი ქუთათელი, ზურაბ წერეთელი შვილით და მრავალი სხვა თავადნი და აზნაურნი, რომლებმაც მოისმინეს ტორმასოვის „პროკლამაცია“ და ფიცი მიიღეს რუსეთის ტახტის ერთგულებაზე.

ამ დროს მაიორ რეუტის რაზმი უკვე ჩამოვიდა სოფელ ჩხერში და ქვეში დ გზა და გზა ფიცს აღებინებდა ხალხს. როცა სოლომონმა გაიგო ქართლიდან მაშველ რუსის ჯარის წამოსვლა, ძალიან დაღონდა. რა უნდა ექნა, უნდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ებრძოლა. ზემო იმერეთმა თითქმის მთლად მიიღო ფიცი. მხოლოდ მარტო ქაიხოსრო წერეთელი ამბობდა უარს.

ქაიხოსრო წერეთელმა ცოლშვილი დასტოვა მოდინახეს ციხეში, თითონ კი ხუთასი შეიარაღებული კაცით 24 თებერვალს სოფ. ბაზალეთთან წინ გადაეღობა რეუტის მომავალ ჯარს. ცხარე სროლის შემდეგ იმერლები მამაცად ხმალ და ხმალ შეეჭრნენ რეუტის ჯარს. მაგრამ რას გააწყობდნენ ათჯერ მეტ მტერთან, ბოლოს უკუ ქცეულნი ტყეში გაიფანტნენ. ქაიხოსრო წერეთელი კი გაიქცა მეფე სოლომონთან.

წინა დღით, 23 თებერვალს, მაიორ პრიბილოვსკის ჯარი მოდინახეს ციხეს მიადგა. ეს ციხე, როგორც თითონ სახელი უმტკიცებს, ერთი უმაგრესი ციხე იყო იმ დროს იმერეთში. ამ ციხეში გამაგრებული იყო ქაიხოსროს ცოლი კნეინა ეკატერინე აბაშიძის ასული, ქალი მეტად გულადი და მამულის მოყვარული. კნ. ეკატერინემ ძლიერ გაამაგრა ციხე, დადგა შიგ ექვსი ზარბაზანი და შეიარაღა ჯარი. გამოჩნდა თუ არა რუსის ჯარი, ეკატერინე ზარბაზნის ყუმბარებით გაუმასპინძლდა დაუპატიჟებელ სტუმრებს.

ხუთი დღე და ღამ იბრძოდა რუსის ჯარი მოდინახეს ციხესთან, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ძალას ისევ ხერხი არჩიეს. მაიორ ამილახვარმა, როგორც ქართველმა, ტკბილის სიტყვით დაიყოლია კნ. ეკატერინე მშვიდობის ჩამოგდებაზე და ციხის დაცლაზე.

რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო უძნელდებოდა საქმე სოლომონ მეფეს. რუსის ჯარი თან და თან უახლოვდებოდა, გარს ერტყმოდა რკალივით. რაჭა-ლეჩხუმი დაჭერილი იყო რუსებით, გურია-სამეგრელოდანაც ჯარი იძვროდა იმერეთისკენ. მხოლოდ მარტო ჩრდილო იმერეთი ღა იყო მეფის ხელში.

სოლომონ მეფემ ცოლშვილი მთაში გაგზავნა და იქ შეახიზნა. თითონ კი ოთხი ათასი ჯარით გამაგრდა ვარციხეში. სოლომონის სიმაგრეს ხელს უწყობდა ადიდებული მდინარეები რიონი და ყვირილა, გაუვალი ტყეები და ჭაობები. სოლომონს ერთად ერთი თავისუფალი გზა დარჩა—ახალციხის შარა. ამ გზით მას შეეძლო უკან დაეხია გაჭირების დროს და ან მთას შეფარებოდა, ან ახალციხეს გადასულიყო.

იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი სიმონოვიჩი დღიდი დღე უახლოვდებოდა სოლომონს. მან თავისი ჯარი გარს შემოარტყა ვარციხეს. ერთად-ერთი ახალციხის გზა, რომელიც სოლომონის ხელში იყო, დაიჭირა პოლკოვნიკმა ლისანოვიჩმა. ის ჩუმად სოფელ ლოსიანთხევიდან სოფ. ზეგანზე გადავიდა და დაიჭირა სოფ. ხანი. ასე რომ უკან მოექცა სოლომონ მეფის ჯარს. მაიორ კალატოზიშვილს დ შტაბს-კაპიტან საგინაშვილს ნაბძანები ქონდათ, რომ თვალყური ედევნებინათ მდინარე რიონისა და ყვირილისათვის, რომ სოლომონი ღამით ჩუმად ფონში არ გაპარულიყო მუხურას და იქ მუხურის ციხეში არ გამაგრებულიყო.

5 მარტს გ. სიმონოვიჩმა ისარგებლა ბნელი და წვიმიანი ღამით და მთელი თავისი ჯარი ყვირილაში გაიყვანა. სოლომონმა უკან დაიწია, ჯერ ბაღდადში გამაგრდა, მერე ხანის ხეობაში. აქ აგო სიმაგრეები და გადასწყვიტა ან სიკვდილი ან გამარჯვება, მაგრამ საზარელმა ამბავმა გული მოუკლა და სამუდამოდ გამარჯვების იმედი დაუკარგა. ეს ამბავი იყო ლისანოვიჩის ჯარის უკანიდან გამოლაშქრება.

იმედ დაკარგულმა სოლომონმა მოლაპარაკება გამართა სიმონოვიჩთან. 8 მარტს მან გაგზავნა მიტროპოლიტი გენათელი და სეხნია წულუკიძე, რომლებმაც გადასცეს სიმონოვიჩს, რომ მეფე მზად არის დამორჩილდეს, თუ მას ნებას მისცემენ ქუთაისში იცხოვროს. სიმონოვიჩმა უარი შეუთვალა, განკარგულება არის, უსათუოდ უნდა ტფილისს წაზვიდე და აქ ელოდო ხელმწიფე იმპერატორის ბძანებასო. რა უნდა ექნა სოლომონს, უნდა დამორჩილებოდა ბედს. 12 მარტს პირისპირ სალაპარაკოდ წარუდგნენ მეფეს პოლკოვნიკი სიმონოვიჩი და მაგილევსკი. ოთხი ყაზახი რუსის თანხლებით მივიდნენ ხანის ხეობაში და ინახულეს მეფე.

სოლომონმა ფიცი მოსთხოვა მათ, რომ დამორჩილების შემდეგ მას უკადრისად და ულირსად არ მოეპყრობოდნენ.

სიმონოვიჩმა და მაგილევსკიმ უფლებას გადააჭარბეს. მოიტანეს ჯვარი და სახარება და ზედ შეჰფიცეს სოლომონს, რომ მას არაფერი ხიფათი და შეურაცყოფა არ მოელის რუსის ჯარისაგან, ტფილისს გამგზავრების დროს მიანიჭებენ მეფურ დიდებას და პატივს. სოლომონი ყველაფერზე დასთანხმდა, მხოლოდ ითხოვა რომ საქართველოს მთავარმართებელი ენახა მას, არა ტფილისში არამედ სადმე ქართლის სოფელში, ტფილისის მახლობლად. 15 მარტს, სოლომონმა დაითხოვა ჯარი, მიატოვა ხანი და დროებით თავის ამალით გაემგზავრა სოფ. საზანოში, თავის ცოლის მამულში. წასვლის წინ მან შეატყობინა ხალხს, რომ მთავარ-მართებელს ინახულებდა სადმე ქართლის სოფელში და არა ტფილისში. თუ ყველა თავის პირობებზე სრულ თანხმობას არ მიიღებს, მაშინ ის ისევ დაბრუნდება უკან, გამაგრდება მთებში და ისევ იარაღის საშუალებით აღადგენს თავის უფლებას.

ასეთივე განკარგულება სოლომონმა გაუგზავნა იმ ციხეების უფროსებს, რომლებიც მაშინ კიდევ გამაგრებულნი იყვნენ და რუსებს არ ემორჩილებოდნენ. ეს ციხეები იყო მუხურისა საპაიჭაო დ ქვიაში. ეს ციხეები სოლომონის წასვლის შემდეგაც დიდს წინააღმდეგობას უწევდნენ რუსებს და არ ემორჩილებოდნენ. მეტად მაგარ ციხედ ითვლებოდა მუხურის ციხე. თითონ სოფელი მუხურა მდებარეობს ზესტაფონის ჩრდილოეთით, მაღალ და მიუვალ მ ებში. გაუვალი კლდეები და ტყეები მეტად ამაგრებენ ციხეს. თითონ ციხე ამართულია მაღალ-სალ კლდეზე. ამ ციხის უფროსად იყო მაშინ აზნაური ბაქულა აბესაძე. ბევრი ჯარი შეაწყვიტა სიმონოვიჩმა მუხურის ციხეს, მაგრამ ვერას გახდა, მინემ თითონ მეციხოვნე ჯარმა არ დაიყოლიეს უფროსი ბაქულა აბესაძე მორჩილებაზე. 1810 წელს აპრილში ციხე დაემორჩილა სიმონოვიჩს.

სოლომონ მეფე სამი დღე დარჩა საზანოში და მერე 500 მხლებელით გაემგზავრა ქართლს. სოფ. ბეკამში რომ მივიდა, იქ ცნობა მიიღო, რომ მას მთავარ-მართებელი ინახულებს ქ. გორში. 27 მარტს სოლომონმა გაიარა იმერეთის ტყეები დ გავიდა ქართლის ტრიალ მინდვრებში. აქ რაღაც გულმა ცუდი უგრძნო და აღარ უნდოდა წინ წასვლა. მან ითხოვა რომ მთავარ-მართებელს ენახულა იგი სოფელ—დირბში, მაგრამ დირბის მაგიერ სოფ. ვაზიანი დაუნიშნეს, გორის ახლო. სოლომონი გრძნობდა რომ კარგი არაფერი მოელოდა მას. ამისათვის, სანამ კიდევ შესაძლებელი იყო, იფიქრა გზიდან გაქცევა და ოსეთში თავის შეფარება. მაგრამ წავიდა თუ არა საზანოდან სოლომონი, სიმონოვიჩმა მაშინვე ჩუმი განკარგულება მოახდინა, რომ ყველა გზები, საიდანაც კი სოლომონს გაქცევა შეეძლო, შეეკრათ და თვალყური ედევნებინათ. როდესაც სოფ. დირბიდან სოლომონმა გაქცევა დააპირა, მაშინვე გაუგეს და ხელი შეუშალეს. 28 მარტს სოლომონი ინახულა ტორმასოვმა და განუცხადა, რომ უსათუოდ ტფილისში უნდა წასულიყო და იქ ელოდა ხელმწიფის განკარგულებისათვის.[1])

(დასასრული იქნება)

**ავქსენტი აბესაძე.**

---

[1]) Акты Кавк. Археогр. ком. т. IV. № 330.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) ელისაბედ დავითის ასულმა ერისთავისამ—ფერადებით ნახატი ნადირ-შაჰის სურათი.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** ხვალ, 3 აპრილს, ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრე ჰმართავს დიდმარხვის უკანასკნელ წარმოდგენას. ამ საღამოს დაიდგმება ორიგინალური პიესა, ცნობილი „**გამცემი**" დრამა 3 მოქ. **ი. გედევანიშვილისა** და ვას. ბალანჩივაძის „**უბედური დღე**". ადგილების ფასი სახალხოა.

შემდეგი წარმოდგენა 20 აპრილს. განზრახულია ახალი პიესების წარმოდგენა.

**ილიკო აბაშიძე** (ვიოლონჩელისტი) ამ დღეებში გორში და ქუთაისში გამართავს კონცერტს. 6 აპრილს კი გაემგზავრება რუსეთს საკონცერტოდ.

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

30—31 მარტი.

**ბელგრადი.** სკუტართან მომქმედ ჯარის უფროსმა ბოიოვიჩმა განაცხადა, შეუძლებელია სკუტართან სამხედრო მოქმედების გაგრძელება იმ სახსრით, რაც მის განკარგულებაში იმყოფება. ბოიოვიჩს ბრძანება მოიუვიდა, შეაჩეროს სამხედრო მოქმედება.

## ბალკანეთი და ევროპა

### დეპეშები.

30—31 მარტი.

**სოფია.** ბურგასის მთავრობამ ავსტრიის გემზე „გრაც"-ზე შეიპყრო ოსმალეთის თექვსმეტი დაზიანებული ზარბაზანი, რომლებიც შესაკეთებლად გერმანიაში იგზავნებოდა. ამბობენ, ეს ზარბაზნები ჩანაკალის ბატარეისა არისო.

**ვენა.** ფინანსთა მინისტრის განცხადების გამო, რკინის გზის სესხის თაობაზე, „ნეიე-ფრეიე-პრესე" იუწყება, რუსეთის მთავრობისაგან მოსულია ცნობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზავის საქმისთვის და რუსეთის და სხვა სახელმწიფოების პოლიტიკის მორიგებასა ჰნიშნავსო. მინისტრს უთქვამს: ავსტრიის ურთიერთობა ჩერნოგორიასა და სერბიასთან უკეთესიაო, გადაუწყვეტელი საკითხები საკეთილო მიმართულებას იღებს და მათ გადაწყვეტის იმედს იძლევაო.

**რომი.** საზოგადოებრივი აზრი და პრესა სიამოვნებით ეგებებიან საზონოვის განცხადებას, როგორც საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს რუსეთის მიერ ზავის სურვილისა.

**ბერლინი.** სამხედრო ხარჯის დასაფარავ სახსრის აღმოჩენის კანონ-პროექტი საბიუჯეტო კომისიას გადაეცა. კამათის დასრულებისას კანცლერმა სიამოვნება გამოსთქვა იმის გამო რომ რეიხსტაგი ეთანხმება კანონ-პროექტის ძირითად დებულებას. კანცლერმა გააფრთხილა პარტიები, არ შემოიღოთ პირდაპირი გადასახადი, რადგანაც ეს ზომა საფინანსო საქმეებში არევდარევას შეიტანსო.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იუწყება: სიმართლეს მოკლებულია გაზეთის ცნობები, ვითომც ბულგარეთი დასთანხმდა დიდ სახელმწიფოების ნოტას რუმინია-ბულგარეთის დავის მოსაწესრიგებლად. ბულგარეთს არ მისვლია არავითარი ცნობა პეტერბურგის თათბირის მსჯელობის თაობაზე, და ამიტომაც არ შეეძლო მიეღო მათი გადაწყვეტილება.

**ლიუბლინი.** გამოიცა ბძანება, რის ძალითაც სკუტარის დაცემის შემთხვევაში აკრძალული იქნება დღესასწაულის გამართვა. ამგვარი დღესასწაული მიმართული იქნება მონარქიის დემონსტრაციის წინააღმდეგ.

**ბუდაპეშტი.** გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან რუსეთის მთავრობის განცხადებას, როგორც ზავის გარანტიას.

**ბერლინი.** სააგენტოს კორესპონდენტს შეუტყვია; რომ ტყუილია ცნობა, ვითომც გერმანია მომხრე იყო, სალონიკი ბულგარეთისთვის გადაეცათ. გერმანია არ ჩაერევა დაპყრობილ ადგილების განაწილებაში. ეს კერძოდ ბალკანეთის სახელმწიფოთა საქმეა.

### გაზეთებიდან.

#### სკუტარის საკითხი

რუსეთის ელჩმა გირსმა მეგობრულად ურჩია ჩერნოგორიის მეფეს, რომ საჭიროა რაიმე კომპრომისის მოძებნა სკუტარის საკითხში და ამასთანავე აუცილებელია დიდ სახელმწიფოთა სურვილის ასრულებაო. სერბიაც ცდილობს, რომ ამ მხრით რაიმე გავლენა მოახდინოს ცეტინიეს მთავრობაზე. ყველაფერმა ამან იმოქმედა ჩერნოგორიის მეფეზე, რომელმაც საგვარეულო თათბირი მოახდინა მეფის წულთა თანადასწრებით. თუმცა თათბირის გადაწყვეტილება არ გამოქვეყნებულა, მაგრამ სკუტარის საბოლოო იერიში ჯერაც არ დაუწყიათ, რაც კრიზისის განელების უტყუარი მომასწავებელია.

#### საზღაური

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ სკუტარის კრიზისი მალე მშვიდობიანად დამთავრდება. ელჩთა კონფერენცია ამჟამად იხილავს რუსეთ-იტალიის წინადადებას, რომლის ძალითაც ჩერნოგორიას სკუტარის დათმობის მაგიერ მიეცემა 20.000.000 ფრანკი და ადრიატიკის ზღვის ნაპირებზე რამდენიმე ნაჭერი

#### უცნაური თანაგრძნობა.

სტამბოლიდან იუწყებიან: ოსმალეთის პრესა განურჩევლად მიმართულებისა ჩერნოგორიის მხარესაა და ავსტრიას პროვოკატორობას ამხილებს. ევროპამ—ამბობენ გაზეთები—მაგალითი უნდა გვიჩვენოს საერთაშორისო უფლების პატივისცემისა. ავტონომიური ალბანეთი ჯერ კიდევ არსად არის, არსებობს მხოლოდ ოსმალეთი. სკუტარის გარნიზონი ოსმალურია. ელჩთა კონფერენციის შეკრებისას ევროპამ განაცხადა, რომ მისი დადგენილებანი არავისთვის სავალდებულო არ იქნება, რადგან მისი მიზანი კომპრომისების შექმნააო. ახლა კი სახელმწიფოები აიძულებენ ჩერნოგორიას პროვოკატორ ავსტრიის სურვილის ასრულებას, რომელმაც კუდზე გამოიბა მთელი ევროპა. მოგვილოცავს 10.000.000 ჯარით ევროპა ეწინააღმდეგება ჩერნოგორიის 10.000 ჯარისკაცს. ეს მეოცე საუკუნის თავსლაფდასხმაა.

#### ფლოტის საალყო ასპარეზი.

ცეტინიედან ცნობაა: ელჩთა ლონდონის კონფერენციამ გადასწყვიტა, რომ საერთაშორისო ფლოტმა, რომელიც ჩერნოგორიის წინააღმდეგ სადემონსტრაციოდ შეიკრიბა, ალყა უნდა შემოარტყას ჩერნოგორიის სანაპიროებს ავსტრიის საზღვრიდან დაწყებული მდ. დრინის შესართავამდე.

#### ტრანსპორტების დაჭერა.

ავსტრიის მთავრობამ კატაროს ნავთსადგურში დაიჭირა რამდენიმე გემი, რომელზედაც ჩერნოგორიისათვის სამხედრო მასალა იყო. ჩერნოგორიის მთავრობამ პასუხი მოსთხოვა ავსტრიას ამ საქციელისთვის.

#### სკუტარის ალყა.

სკუტარის გარშემო სრული მყუდროებაა. ქ. ალესიოში მდგომი, სერბიის ჯარი ჩერნოგორელებს შეუერთდა. გაზ. „რეიხსპოსტი"-ს ცნობით ქალაქში სიმშილობა ჩამოვარდნილა, მცხოვრებთა მდგომარეობა მეტად ცუდია.

#### ბულგარეთ-რუმინიის დავა.

„რუსკოე სლოვო" გადმოგვცემს: რადგან ბულგარეთ-რუმინიის დავა ორგვარი ხასიათის უთანხმოებას შეიცავს—პირველი ეხება რუმინიის კონკრეტულ მოთხოვნილებას, ხოლო მეორე მოდავეთა თავმოყვარეობის დაცვას, ამიტომ ელჩთა პეტერბურგის კონფერენციამაც ორგვარი დადგენილება შეიმუშავა. პირველი დადგენილება წინადადებას აძლევს რუმინიას, მიიღოს ქ. სილისტრია და სამიოდე კილომეტრის სივრცის ადგილი მის მიდამოებში, მაგრამ ამასთანავე უარი სთქვას დანარჩენ თავის მოთხოვნილებაზე; მეორე წინადადებით რუმინიას ალუთქვეს საზღვრების სრული გამოსწორება და ყველა სტრატეგიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, გარდა ქ. სილისტრიის დათმობისა. რუმინიას უფლება ეძლევა ამოირჩიოს რომელიმე ამ ორ გადაწყვეტილებაში.

## დეპეშები

### საზღვარ-გარედ

30—31 მარტი.

**ურგა.** სიანგანის გენერალ-გუბერნატორად ნამყოფი შენიუნი მივიდა ხალხაში და იქიდან ურგაში კაცი გაგზავნა მონღოლეთის მთავრობასთან; შენიუნი სურვილს აცხადებს შეუერთდეს ხუტუხტას ჩინეთის რესპუბლიკასთან საბრძოლველად.

**პარიზი.** მაისში მოელიან ალფონს მეფის მოსვლას. ივნისის დასაწყისში პუანკარე ლონდონში მეფეს ინახულებს.

**ტოკიო.** მთავარ ქალაქთა სავაჭრო პალატების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ ტოკიოში და მსჯელობა იქონიეს კალიფორნიის კანონ-პროექტზე. გაგზავნეს დელეგატები ამერიკის საელჩოში განმარტების მისაღებად. გაზეთებში შიშს გამოსთქვამენ, რომ კანონ-პროექტის განხორციელება ამერიკა-იაპონიის ურთიერთობას გააფუჭებსო.

**მადრიდი** მეფე რომ ბრუნდებოდა ჯარის დათვალიერების შემდეგ, ესპანიის ბანკთან გაისმა რევოლვერის სროლა. მეფე უვნებლივ გადარჩა ბოროტგანმზრახველი შეიპრეს.

**ტოკიო.** სავაჭრო პალატათა დელეგაციას მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, კალიფორნიის კანონ-პროექტი, რომლითაც უცხოელთათვის აკრძალულია მიწების შეძენა და მფლობელობა, ეხება არა მარტო უუსაჭიროეს ინტერესებს, არამედ მთელ აზიის ხალხთა ინტერესებსაო. იაპონიის მთავრობა ყოველ ღონეს მიიღებს კანონ-პროექტის წინააღმდეგ. პოლიტიკურ მოღვაწეთა და სავაჭრო პალატის წარმომადგენლებმა დაარსეს ცალკე საზოგადოება, რომელიც შეისწავლის ამერიკა-იაპონიის ურთიერთობას. კრებამ დაადგინა: კალიფორნიას არა ერთხელ შეუტანია იაპონიის სამტრო კანონ-პროექტები, რაც იაპონიის პრესტიჟსა სცემს და არღვევს მის უფლებასა და ინტერესებს. ამით ირღვევა ამერიკისა და იაპონიის მეგობრული განწყობილება.

### რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** ღამით პეტერბურგსა და პსკოვში მოსპეს სოციალისტ-რევოლიუციონერთა კავშირი. დაიჭირეს მიწერ-მოწერა, აუარებელი პროკლამაციები და სტამბის მასალა. შეიპყრეს 20 კაცი.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთ „ლუჩის" მე-76 ე ნომერი.

**შუშა.** სარქის შამშანოვის სახლში სამზარეულოში აღმოაჩინეს ჩაფლული ზარბაზანი, რომელიც 1905 წელს დაშნაკცუტიუნების სარევოლიუციო მიზნებს ემსახურებოდა.

**ვილნა.** სასამართლომ დაასრულა ყალბი ატესტატების დამზადების გამო სამართალში მიცემულთა საქმის გარჩევა. ატესტატების მომხმარებელნი სასამართლომ გაამართლა, მოწმობის გაუქმებით. ნოვიცკის მიუსაჯა უფლებეს აყრა და გამასწორებელი რაზმი 2 წლით; ლიკმანს, გაზის და მასალსკის ერთი წლითა და ოთხი თვით გამასწორებელი რაზმი, ზუბოვიჩს ათი თვით, კამენსკის ერთი წლით და რვა თვით. ატესტატები მოსპეს.

## არჩილ ჯორჯაძის ძეგლისთვის

ტფილისის საეპარქიო სასწავლებლის მოწაფეთაგან, გვირგვინის ნაცვლად, ძეგლისთვის შემოვიდა 18 მ. 30 კ.

გარდა ამისა, დღემდის აქვე დახიმნულებისთვის შემოვიდა:

| | |
|---|---|
| ბ-ნ ვ. თუმანიშვილისაგან | 25 მ. |
| კიევის სათვისტომოსაგან | 15 მ. |
| კიევის თანამოაზრე სტუდენტებისაგან | 15 მ. |
| იოსებ მერკვილაძისაგან | 5 მ. |
| სიღნაღის ქართველებისაგან | 10 მ. |
| სიღნაღის თანამოაზრეთაგან | 3 მ. |
| სულ | 91 მ. 30 კ. |

## წერილ. რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო, ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადო ქ. ტფილისის მცხოვრებ გ. კალისტრატე არეთის ძე დგებუაძეს, რომელმაც კეთილინება და შემოსწირა ზუგდიდის „აკაკის" სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს ორასი მანეთის ღირებული ქართულ-რუსული წიგნები.

გამგეობის თავმჯდომარე **ეჭ. ფალავა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. შუბაძე.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8,** სალ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი № 2,** დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო № 4,** დამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი № 106.** სად. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ. №** № 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, სად. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, სად. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, სად. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, სად. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ, **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, სად. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, სად. 5 ს. 28 წ

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში· სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, სად. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, სად. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.,** № 68, სად. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, სად. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77 დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 84 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ,** 82, სად. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან ტყიბულს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**ტყიბულიდან ქუთაისს: სახ.** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, სად. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, ღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, სად 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, სად. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 г ნაშ. ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ, 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, სად. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასია ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლ. მატარებლის ნომრები და 3 4.

### გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

**15 ოქტომბრიდან,**

**შავ-ზღვაზე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის"**

საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო გ მი შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკევს,** შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სა., შაბათ.,** ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან პირდაპირი, საფ., გარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.,** სად. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.,** სად. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ., პარ.** სად. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.,** სად. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური"**

საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ.-დღე სად. 4 ს. 40 წ.

**ენზელს პირდაპირი, პარ., და სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას, ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

**ენზელიდან** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. ს. 44 წ.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **ბ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ამლაკნის მოედანზე.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თამამშევი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.


## განცხადებანი

ვაგზლის

**სამშობიარო თავშესაფარი**

**ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა**

**ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება** სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე.

თავშესაფ. გამგე **ექიმი ა. გ. ავეტისოვი. ვაგზლის ქუჩა № 12, ტელეფ. № 13—22.** 1018

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ა. ა. ნავასარდიანი: 11—12** ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ...: 1—2** ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10** ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11** ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულიანი: 10—12** ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი: 11—12** ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1** ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ექიმი ქალი ო. ვ. გეევსკაია-ენგელისა** 6—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ...ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მოლაპარ...თ.

საკუთრ[illegible]

1004 [illegible] **ა. ნავასარდიანი.**

**გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გ ა მ ც ე მ ი"**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**თევზეულობის მაღაზია ს. ლ. ხუროშვილისა**

პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.

**ვ ყ ი დ ი თ:**

საუკეთესო მარცვლიან **ხიზილალას, ცოცხალ თევზს** „ქოტკა"-ს ორაგულს, თართს, ტარალანას, სელიოტკებს, ლოქოს, მოხარშულ დოშს, ზურგიელს და სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს.

**ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.** 1127.

**გამომცემლობა და**

**—ჟურნალ-გაზეთების კანტორა—**

**„იმერეთი"**

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ამით აცხადებს, რომ იგი შეუდგა

**გიორგი ჭყონდიდელის (ქ ო ჩ ა ქ ი ძ ი ს)**

**ნაწერების გამოცემას.** წიგნს წამძღვარებული ექნება ბიოგრაფია **იონა მეუნარგიასი,** კრიტიკული განხილვა **ივანე ზომართლისა,** სურათი და ფაქსიმილე. წიგნი იქნება 200—250 გვ. და ეღირება ხელის მოწერით 10 შაური, ხოლო გამოცემის შემდეგ 15 შაური. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კანტორა „**იმერეთში**", **ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში და გამომცემლობა „იმერეთის" ყველა იმ აგენტებთან, რომლებიც გამოცხადებულია „თემ"-ში, „კოლხიდა"-სა და „დილა"-ში.

**ისიდორე კვიცარიძე.** 1113

ერთად-ერთი

**ამერიკულ ვაზის სანერგე „კლდ-ეღურული ქუთაისში"**

ურჩევს და ჰყიდის საუკეთესო ყოველნაირ საძირე ამერიკულებზე დამყნილ ვაზებს, ყოველნაირ მიწებისათვის; ერთად-ერთი საშუალებაა, რომ მიიღოთ გამძლე ვენახები, კარგი მოსავალი და კარგი თვისების ღვინო.

მყიდველებს ამოარჩევთ საუკეთესო და ახალ პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები.

**კატალოგები, პრეის-კურანტები და ყოველგვარი ახსნა უფასოდ.**

ქუთაისის კანტორა: მიხაილოვის ქუჩა, სახლი ძმათა გოკიელოვებისა.

მისამართი წერილებისა და დეპეშისათვის: „КЛО-ЖГУРУЛИ", Кутаисъ. 1108

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კამბალ.) **ხიზილალა,**

გამოხული ქერჩის **სელიოტკები,**

და ყოველგვარი

**კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქოტკა), ორაგული, თართი, ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძმეველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

1131